

საქართველო და აზერბაიჯანი 1918-1920: პოლიტიკურ-ეკონომიკური  
პარტნიორობის რაციონალური არჩევანი

დავით ჭკუასელი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა  
და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერება (კავკასიის კვლევები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბექა კობახიძე, ისტორიის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დავით ჭკუასელი, 29.01.2017

## აბსტრაქტი

1918-1921 წლები საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდია. ამ პერიოდში საქართველოს პირველად მიეცა შანსი ჩამოყალიბებულიყო დემოკრატიულ სახელმწიფოდ ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლებით. ქვეყანა პირველად გახდა ევროპული სახელმწიფოების განხილვის საგანი. აღსანიშნავია, რომ როგორც ეს ხშირად ხდებოდა და ხდება, საქართველო ამ პერიოდშიც არ განიხილებოდა ცალკე ერთეულად. საერთაშორისო დონეზე სამხრეთ კავკასიას განიხილავდნენ როგორც ერთ რეგიონს. აქედან გამომდინარე საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დამყარდა მჭიდრო კავშირები. საქართველოსთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იყო აზერბაიჯანის ნავთობი, ხოლო აზერბაიჯანისთვის - სატრანზიტო დერეფანი. ორ ქვეყანას შორის არსებობდა ომის დაწყების მრავალი მიზეზი (ტერიტორიული დავები თუ ეთნიკური პრობლემები), თუმცა დამყარდა მშვიდობა, რომელსაც ხშირად „მოულოდნელ მშვიდობას“ უწოდებენ. რეგიონსა და მსოფლიო დონეზე მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა საქართველო და აზერბაიჯანი დაახლოვა. იმ დროს ჩამოყალიბებული ურთიერთობები დღევანდელ ორმხრივ ურთიერთობებზეც აისახა. ამ საკითხზე არ მოიპოვება ბევრი კვლევა. საქართველოს საზღვრებს გარეთ არ იწერება ბევრი ნაშრომი, რადგან მცირეა უცხოენოვანი მასალა, ხოლო ქართულენოვანი მასალის დამუშავება უცხოელი მეცნიერისთვის რთულია. რაც შეეხება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურას, საბჭოთა კავშირის დროს საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი ტაბუდადებული იყო და სამეცნიერო საქმიანობა იზღუდებოდა. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, როცა ნაციონალიზმი პოლიტიკაში ღრმად შემოიჭრა, პირველი რესპუბლიკისადმი დაინტერესება მცირე იყო, რადგან ის სოციალიზმთან ასოცირდებოდა.

ნაშრომი მიზნად ისახავს, გაარკვიოს, თუ რამდენად ესადაგება რაციონალური არჩევანის თეორია და ქვეყნების მთავრობების მიერ ერთმანეთთან მიმართებაში მიღებული გადაწყვეტილებები ერთმანეთს.

ნაშრომში გამოყენებულია თვისობრივი მეთოდოლოგია. კონტენტ ანალიზი დაყრდნობილია საარქივო მასალაზე, რომელიც ინახება, როგორც საქართველოს, ასევე დიდი ბრიტანეთის არქივებში. ასევე გამოყენებულია Case Study მეთოდი.

ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე მიღებულმა შედეგებმა და ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ნავთობით ვაჭრობისა და სატრანზიტო დერეფნის შენარჩუნება და ეკონომიკური ინტერესების დაცვა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ვიწრო ეთნიკური პრობლემატიკა თუ სადავო ტერიტორიები.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** საქართველო, აზერბაიჯანი, რაციონალური არჩევანის თეორია, ნავთობი, Case Study, არქივი.

## **Abstract**

One of the most important period in the history of Georgia is 1918-1921 years. It was first time that Georgia had opportunity to form as a democratic state with government which was elected by the people. It was also first time that Georgia became subject of discussions in European Countries' foreign policy. During this period, as it is common for Georgia, it wasn't considered as independent unit. On international level, South Caucasus was discussed as one region. Therefore, between Georgia and Azerbaijan established strong relations. For Georgia oil of Baku was strategically important, and as for Azerbaijan it was transit corridor. There were occasions that war should be started (territorial disputes, ethnical problems...), but peace was established, which is sometime called as "unexpected peace". Ongoing political processes on the regional and international levels had a big influence on bilateral relations between Georgia and Azerbaijan. Relations which were established during that period has an impact on today's relations too. There are not many researches on this topic. There is a lack of materials on foreign languages, therefore it's hard for foreigners to research this topic. There is a gap in Georgian scientific literature about this topic as well. During the soviet period, it was tabooed to research the topic which was

somehow related to independence of Georgia. After the independence in 90-s, when nationalism deeply invaded in politics, there was little interest towards First Republic because it was associated with socialism.

The aim of research is to elucidate if decisions of the two governments towards each other are related to the Theory of Rational Choice.

In the following research, there is used qualitative techniques. Content analysis is based on an (archival) materials, which is preserved both in Georgia's and United Kingdom's archives. Also, there is used method of Case Study.

Results of reviewed literature and research showed, that for two countries, more important issues were the preservation transit corridor, trade of oil and economic interests, thater than ethnical problem or territorial disputes

Key words: Georgia, Azerbaijan, Theory of Rational Choice, Oil, Case Study, Archive

## მადლობა

მსურს, დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელ ბექა კობახიძეს. რომ არა მისი სალექციო კურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, მცირე იქნებოდა ჩემი დაინტერესება ზოგადად ამ საკითხის მიმართ. მისმა ჩატარებულმა კურსმა და სწორედ გაკეთებულმა აქცენტებმა გამოიწვია ინტერესი საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ. ჩემი მიზანიც სწორედ ის იყო, რომ მისივე დახმარებით კიდევ მოკრძალებული წვლილი შემეტანა, ჩვენი ქვეყნის ისტორიის ამ მნიშვნელოვანი ეტაპის კვლევაში. ასევე, ბექა კობახიძეს მინდა მადლობა გადავუხადო ამ კონკრეტული ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის და იმ შეუფასებელი მასალის მოწოდებისთვის, რასაც ჩემი ძალებით ნამდვილად ვერ (მოვიპოვებდი), ყველა იმ კომენტარისა თუ შენიშვნისთვის, რომელმაც კიდევ უფრო გააუმჯობესა ეს ნაშრომი.

მადლობა მინდა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური წერის ლექტორს, ქ-ნ მადონა გიორგაძეს, რომლის ლექციებითაც მომეცა საშუალება ჩემი სათქმელი აკადემიურად და შეძლებისდაგვარად გამართულად გადმომეცა.